



# კ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, საშენიარო და სალიბერალურ ნახაზბინი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამე

№ 53

დ ე კ ე მ ბ ე რ ი 25 1896 წ.

№ 53

შინაარსი: † სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი.—ტაგერი.—უცხოეთის ამბები.—ფერია, (საშობაო მოთხრობა) განდგეილსა.—რუსეთის ზრინაჲ ფ. მ.—სა.—ლენინში დროებით ლენინშელისა.—უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში (დასასრული), საზღვარგარეთელისა.—მამა დიმიტრე ჩინიძეს პაუზები არ. ორმოცამისა.—ყურბი და ქუთაისის ბანკის განცხადებანი.

ამ ნომერაან იგზავნება მთელი წლის „კვალის“ სარჩევი.



† სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი.

კავკასიის მთავარ-მართებლის შერემეტევის გადაცვალეების გამო.



მ ღლებში მძიმე ავთოყოფობამ იმსხვერპლა მოსკოვში სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი, მთავარ-მართებლათ ნაყოფი კავკასიაში. შერემეტევი ძველი რუსეთის გვარიდან არის ჩამომავალი. ჰაბუკობიდან შეეთეს კავკასიის მხარეს და განსაკუთრებით პატრიისცემთ ეყრობოდა ჩვენებურებს. ის არ იყო ისეთი კაც, რომ სხვა გვარისა და ჯილაჯისთვის ზურგი შეეცქია და ამ მის კაცობრიულ თვისებაში ეპოვებთ უმთავრეს და მსახურებას ჩვენი ქვეყნის წინაშე. იმან დაიწყო თავდაპირველათ კავკასიაში სამხატური და აქვე მიაღწია უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის ზარისხამდე. ექვსი წლის განმავლობაში იგი მართავდა მთელს კავკასიას მშვილობიანთ.

სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი ბუნებით კეთილი და სათნო კაცი იყო, ამათთან კარგი შიშვენი და თავმდაბალი, არაეისთვის ცუდი არ უნდოდო, საუკუნოთ იყოს სხენება მისი.

გ ა კ ე რ ი თ .

**მ**იწერა ეს წელიწადი, დღე დღეზე გადის-ერთი იმასაც ისტორიის პარკუჭში, როდესაც ვაელოლს თვალს ვადავალვობთ, დაეკვირდებით, შვიი ფიქრები გაგვიტაცებენ, სასოწარკვეთილებით შევგვიპყრობს. მაგრამ ჩვენ და უნებლოდ ამავე დროს გერდში ამოგვიდებდა რაღაც ძალა, რომელსაც იმედს ეძახიან. ეს არის ხოლმე ჩვენი მისწრაფება, ჩვენი სულის ჩამდგმელი.

მგონი, ამისთანა უბედური წელიწადი იშვიათად დაევდგომა; ისეთი სიტყვა არ ყოფილა, რომ ამ წელიწადზე არ ხმარებულყოფას ხალხის უბედურებებს გამოსახატველიათ. წყალდიდობით მივეცა ხალხი ახალ-წელიწადს, ღიდი თოვლი, უგზო-უყვლობა, მრავალი საჩივრისამადებელის დაკარგვადა თვით ხალხის დაღუპვა მოადგედა ამ წელიწადს. უკანასკნელ ღონისძიებებს მოკლებული ხალხი დარჩა გაზაფხულზე უსახსროთ: ამ დროს ხელმოვარეთ ღიდი წყალმა დაატყდა თავს. ამ წელსვე დეცა შვიი ქვის მრეწველია, რომელიც მთელ შორაპნის მახრას სულს უდგამდა. სომინდიც ამ წელს ან სულ არ მოვიდა და ან გაცოლებით სხვა წელიწადებზე ნაკლები იყო. კახეთსაც ეახმა უბტყუნა, ლენის მისაველი მესამე წელიწადია იქ არ უნახავთ. ამ წელიწადმა სხვა ფრიალთაც ღიდი ზარალი მოგვიტანა. ჩვენ დაკარგეთ ისეთი იშვიათი პირი, რომელიც იორას, სამას წელიწადში ერთხელ იხადება—მე ეამბობ, ნეტარ სხენებულ გაბრიელ ეპისკოპოსზე ამავე წელს გადაცვალა ქართული ენის იშვიათი მცოდნე და სამშობლოს მოსიყვარულე თავი. ნიკოლოზს დადიანა. სხვა უბედურებასთან ერთად თვალწინ წარმომიდგა ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი მამულების ხელიდან გამოცლა, დაკარგვა და მე უიმედობით საშინელ საგონებელში ჩავევარდა, ვიტაცე თმბებში ხელი, მაგრამ უტბათ შემოაქცარალა ჩემი თამბში კბელები „იმედ“ და ღიდილით მითხრა: თუ ერთ-ორი მოკვდა, რა იცი, რომ მის მაგიერ ათი და ოცი არ დაზადა? კანა ერთი წელიწადი ისტორიის შეადგენს, რომ აგრეთ სასოწარკვეთილებას მისცემხარა?“

—სამწუხარო როგორ არა მაქვს! აქ ერთი წელიწადიცი არის და ათზე მეტიც, ეუთხარო მე გულმოსულმა.—განა ათ წელიწადზე მეტა არ არი, რომ ჩვენი საზოგადოება მოწაღინეა თავს სათავაჯ-ხანაურა სკოლას აუშენოს საკუთარა შენობა? მეტე სად არი?

„ტყუი, მოხტუი, ადგილიც ამირჩეული აქეთ, ფულიც მხათ არის. ამბობენ, ამ დღეებში აკურთხებენო კიდეც საძირკველს. აშენებას ხომ ერთ ზაუხულშიაიც მოასწრებენ“.

—ჩვენ ქართულ თეატრზე რაღას იტყვიან, ათ წელიწადზე მეტი არ არი, რომ არც ახალი ხერიანი პიესა დაუწერია ენსმე, არც ახალი ნიჭიერი მსახიობები გამოჩენილან, აღარც ხალხი თანაუგრძნობან?

„არავერია, ოპერა მოდაშია და ის არის! შენ ხომ ამბობ მამულეებს ავირავებენო. აი, ის დაგრიანებული მამულეების ფული აწუხებს; ფული ხელის ქუეყია, სანამ არ მოიკლიან, არ მოიხსენებენ, არ მოიგონებენ თავისიანებს. ნახეთ, მეტე ქართველობამ რა თანაგრძნობა გამოიჩინოს, მაშინ გაჩაღდება საქმე: მწერლებიც და ნიჭიერი მსახიობებიც დაიხადებიან...“

—ამ წერა-კითხვის საზოგადოებაზე რაღას იტყვი, კბეტუი, რამდენი წელიწადია ერთ წერტილზე დგას. წვერნი შეგებრდენ და ახლა ძილს მიეცენ. კვირაში ერთხელ მდივანი ჩაახანებს: ძველი ხელთნაწერი ეთხოვითო, რას მიხანანებთ? მაშინ ერთი ორი გამოიხიზლდება, დაიძახებს: ეყვილოთ, ეყვილოთო! „ახალ სამკითხველოს ხსნიან, წიგნებს თხოვლობებო“—განაგრძობს მდივანი:—მიეცეს სვიის გვირგვინი, კონა, კოკორი—ხუთი თუმნისი. ფული რომ არა გვაქვსო—უმატებს მდივანი. მაშინ, ახლა სხვა წვერნი თვალეების ფემენტით წაოიძახებენ. „მამ მანიეთისა მიეცეთო!“

„მაკასაც ტყუი, მოხტუი. ეინა თქვა, რომ ძინავით? მამ ყულაბებით ეინ აგროვებს ფულეებს? თუ ძინავთ, ეგ იპიტამ, რომ მუშაობით მოიქანცენ, ჯაფის ევლარ იტანენ. ახალგაზრდები შეველენ, დაფატურდებიან და საქმეს არ მიიძინებენ“.

—ქალბეს სკოლის დაარსების შესახებ რაღა გვაქვს საუკუეო? ხომ ყველამ ეიცით, რომ რაც დრო გადის, ჩვენი საქმე უკულმართობას ეძღვება, ამ სკოლის დაარსება ერთ უპირველეს საჭიროებას შეადგენს და უდებურეა აა ჩვენთვის...“

„ქარგი, ნუ გააბი გოადება, ხომ გავიგონია: დედაცა თუ გაიწიო, ცხრა უდელ ხარს აჯობებესო. მაკასაც ეშველებ. ჯერ ყველას ძეკლ რბილში არა აქვს გამჯდარა მაგის საჭიროება. ნათქვამია: ბევრი ცემით რკნაც გატყდება“.

—ბანჭე რაღას იტყვი? მისგან მოეველოდით მატერიალიურ შეცლას, ჩვენი საქმეების, ბუჯჯის ჩაედებას. ბოლოს კი ელანძღვა-გინება, გიბრი, ერთმანერ. ის მაწასთან გასწორება, დაბეზლება, მეცენებების შეყვდა აღიღლებით, ფულით. ერთი სიტყვით აღჩაფერი სისამაკლე აღარ დარჩინათ, რომ არ ეხმარათ. ამისი რა იმედი უნდა გეკონდეს? ოლონდ ჩვენი გავიტანოთო და თუნდ ქვა ქვაზე ნუ იქნებოა, ამა, მითხარი ჩვენი ისტორიის მავალითებმა იმეტიქელა ეისმეზე? რა მოიძინება ამაში საუკუეო?


„დამშვიდდი, მოხტუი? მაგაზედაც ანდაზას გეტ-

ყვი: წყალნი წაღწენ და წამოღწენ, ქვიშიანი ღარჩე-  
ზინაო; დაიზრდებიან ობლები, მამულნი ღარჩეზინაო....

—შე, ჭბუტუო, ენა მოგიღწესას და ლაპარაკობ.  
ოცი, რომ ყველას ენებზე მუწუცი ამ-სელოით და  
თავისუფლათ ვერ ლაპარაკობენ. მაგას რალა ეშვე-  
ლება, რა წამლობა ეტირება, მითხარი?

„ნუ გეშინია, მოხუტო, მაგის წამლოსაც გეტ-  
ყვი. ფრთხილი ეტირება უნდა. მას რაში გამოიყუ-  
ნებთ ჩვენ ნასწაულ ეტირებას, თუ ისინი ენის წყლუ-  
ლსაც ვერ მოაჩვენენ. აბა, ნახე მაშინ, რა ღრო დაგ-  
ვიდგება, ყველა ატეპკიკადებით, გავშლით ფრთებს,  
აფფრთოვანდებით, წალკოტში ვიხარებთ....

—კარგე, კარგი, ჭბუტუო „იმედო“, მეც კი არ  
გამიტაცო შენი ოცენებებით.



### უცხოეთის ამბები.



სპანისის საქმეები სულ უფრო და უფრო იპ-  
ყრაბენ ამ ვაჰათ მთელი ევროპის პოლიტი-  
კური წრეების ყურადღებას. ისპანისს და  
ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკას შუა აშქარა შე-  
ტაკებს ყველანი აუცილებლათ მოვილიან. ვაშინგტონ-  
ნიდან ამ უკანასკნელათ მოვიდა აშბავი, რომ პრეზი-  
დენტი კლივლენდისა და სახელმწიფოს მდივანი ოლ-  
ნეის სიფრთხილედ აჩაფერს შუაშიაო. ისინი საზოგადო-  
ების აზრს წინ ვერ დაუდგებიან, რომელიც თხოუ-  
ლობას, რომ კონძული კუბა დამოუკიდებელ რესპუ-  
ბლიკათ უნდა გახდეს. შეტაკებას ის გარემოება  
აძლიერებს კიდევ, რომ ისპანის მთავრობა გავინდა  
და ხმასაც არ იღებს რეფორმების შემოღებაზე, რა-  
ნამდის მისი აზრით აჯანყებულებს სამხრეთ კუნძულ-  
ზე არ დაამშვიდებს. ისპანისის საჰინისტროს მეთაურს,  
როგორც ჩანს, გაღაწუყვებთა მიხარბოს სახელმწი-  
ფოების პროტესტით ჩრდილოეთ ამერიკის გულის  
წყლის წინააღმდეგ, მაგრამ ისპანის მთავრობას  
არაფრთხილად საფუძველი არა აქვს, იფიქროს, რომ სა-  
ხელმწიფოებმა რაიმე დახმარება აღმოუჩინონ მას ამ  
საქმეში. ენის გაზეთი „Neue Freie Presse“-ი,  
რომელიც ისპანისის ერთგულათ ითვლება, აი, რას  
ამბობს ამ საქმის შესახებ.

„ათ კირას შემდეგ მოხდება მაკანლის შე-  
სლა თეთრ საღებში (პრეზიდენტის საღებოში სახ-  
ლია), და ვის შეუძლია თქვას, რომ ახალი პრეზი-  
დენტი ისე თავდაპირვით მ-ეძკვეთ ისპანისს, როგორც  
ბ. კლივლენდი?“. მაღრიდში იმედი აქვთ, დიკვან  
კუნძული კუბა ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკის

შეგაველინიდან, მაგრამ ნუ თუ ეს თავის მოტყუება  
არ არისო?


სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სტამბოლ-  
ში, გაზ. „Polit. Corresp.“ის სიტყვით, მიიღეს მა-  
ნიფესტი, გამოცემული ოსმალურის ლიბერალური  
კომიტეტის მიერ (ახალგაზღობის დასია). ამ მანი-  
ფესტში ახალგაზღობის ოსმალური აცხადებენ, რომ იმათ  
განზრახვად აქვთ იბრაჰიმონ თანამედროვე ოსმალურ  
ეთის რეჟიმის (წესწყობილების) წინააღმდეგ, მაგრამ  
არაფერი საერთო არა აქვთ სომხების მოძრაობას-  
თანო. მანიფესტში ნათქვამია: „ჩვენ სრულიად თანა-  
უგრძნობთ უბედურ სომხებს, მაგრამ პროტესტს ვა-  
ცხადებთ იმ რეფორმების წინააღმდეგ, რომლებსაც  
მხოლოდ იმათი საკუთარი ინტერესი აქვთ მხედვე-  
ლობაში. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი ღიძი საერთო  
საქმე, საქმე მთელი ოსმალეთის შესახებ და როცა  
ეს საქმე კრავთ დაბოლოვდება, ქრისტიანების ბედიც  
ოტომანის სახელმწიფოში საუფჯობესათ შეიცვლება.  
ჩვენ ვთხოვლობთ 1876 წლის კონსტიტუციის გა-  
დაზილვას და მის დაუყოვნებლივ განხორციელებას  
მთელ ოსმალეთში. ჩვენ ვთხოვლობთ უზრუნველ  
ყოფას და პოლიტიკურ უფლებებს ყველა გვარ ერ-  
თათვის განურჩევლათ. იმ ზომებს, რომლებსაც მხო-  
ლოდ ზოგიერთი ერების კეთილდღეობა ექნება მხე-  
დველობაში, ჩვენ უარყვით; თანაწრობა და ერ-  
თობა, აი, ორი სიტყვით ჩვენი პროგრამაა.“

—ყოველ შემთხვევაში მაშაღიანთა ახალგაზ-  
ღობის დასი ოსმალეთში სულ უფრო და უფრო იქ-  
ცეს თავისკენ ყურადღებას და თანაგრძნობას. თორ-  
მეტ დეკემბერს პარიჟში მოხდა კრება ოსმალეთის  
ახალგაზღობის ოსმალეთის კონსტიტუციის სადღე-  
სასწაულობით. ამ დასის წევრებს გარდა, კრებაზე და-  
ესწრენ საფრანგეთის და უცხოეთის მრავალი ქრის-  
ტიანები. ყველა ირატარბო და უმეტესათ მურად-  
ბეი, სასტიკათ კაცადენ ღღეფანდელი ოსმალეთის  
დესპოტოზმს, აქებდენ მიჰლატფაშას და ამტკიცებ-  
დენ, რომ ოსმალეთისათვის ერთ-ერთ გამოსასწნელ  
საშუალებათ უნდა ჩაითვალოს წარმომადგენლობითი  
წესწყობილების შემოღებაო. იქვე აღნიშნეს, თუ  
რა წარმატებაში შევიდა ამ უკანასკნელ ხანებში  
ახალგაზღობის პარტია. შემდეგ ვაქციეს ევროპის  
დიპლომატიის უნაყოფო მოქმედება სტამბოლში  
და თეით სულთანიც. საფრანგეთის მხრით სიტყვა  
წარმოთქვეს: მორის ლიონემ, რომელმაც დაღია  
ოსმალეთის თავისუფლების სადღევარძლო. ევროპამ  
დაღია სულთანის ტასტიდან გადაქცნებისათვის. და-  
სასრული დემუტრატ დელამეს (რადკალია) წინადა-  
ღებით ღიძი თანაგრძნობა გამოუსახდეს კრებაზე იქ  
დამსწრეს პოლკოვნიკ ახმეტ-ბეის, რომელიც ამას წი-



ნეთ სტამბოლში დაქერილ იქნა ახალგაზდობის მოძრაობაში მონაწილეობის მიღების ვაძო.

—გაზ. "Frankfurter Zeitung"-ი აზრობს, რომ ამნისტია (პატონება) მიენიჭაო მხოლოდ ოსმალებს, რომლებიც სომხების ტყვეობაში იღებდნენ მონაწილეობას, მაშინ როდესაც სომხები ამნისტით პოლიციის მხედველობას ქვეშ არიან დატოვებულნი, და რა მნიშვნელობა აქვს ამ მხედველობას, ამას ჩვენ წარმოვიდგინო, თუ მივატყვევებ უფრადლებას იმ გარემოებას, რომ ქრისტიანები ათასობით ტოვებენ ოსმალეთს მხოლოდ იმ მიზნით, რომ განთავისუფლდნენ ოსმალეთის პოლიციის თვითნებობასა და უწყესო მოქმედებისგან. ეს კიდევ არაფერია; ამნისტია სომხებს მიენიჭება იმ მოუხერხებელი პირობით, რომ პატრიარქი თავდები უნდა იქმნას მომავალში, რომ განთავისუფლებულები წინააღმდეგობას აღარ ჩაიღებენ.



ფ ე რ ი ა .



ომწყინდა ლაქვარც ცის კამარზე ცურვა-სრი-ალი! ან რა გასართობია? მზე ჩემზე უჯრო ვერ ანათებს, მთვარის ციალი ჩემი სიტუროფით ბნელდება და ვარსკვლავები, ჩემს ლალის ბაგეს და მარჯალიტ კბილებს რომ შეტყურობენ, თორიან, ჰქანკალბენ და ეშხით მთვრალნი აწყდებიან ერთმანეთს. მთელი ბუნება, ეს დაუღალავთ მოტრიალვე ჩარხი არსებობისა, ჩემ ფრთებ ქვეშ ფშვინავს, იზმარება და აშლება ქვეყნისთვის ცხოველ-მყოფელ სიმთა ასაკურებლათ.

შეწყვიტე მე ფრენა—ნაჯარდი,—ბუნებაამაც უნდა შეწყვიტოს თავისი მაჯის ცემა... იოშ ნეტარება! ქვესწვლი, ზესწვლი, ვარესწვლი, სულიერი და უფ-სული,—ყველა ჩემით ცოცხლობს, გულდრატეს მიკმებს, სიყვარულს მიჯალობს, მაგრამ მაინც ვერ გაიფიქვინ ვინ გააჩინა სიყვარული! მზეს ეკოთხე და, პასუხის ნაცელათ, სხივთა კორიანტელში გამხვია; მთვარეს ეკოთხე და თითქო გაბურცებული შანითთ მისდევნო, ისე გასრიალდა და უშეფლებელ შავ ღრუბელს ამოფარა, ერთი კი ვალმოიხდა შავი მანტიის კალითან— ხომ არ მომდევსო—და, მანამ ვარსკვლავთიან მისული არ დაძინავა; დღები არ აღარა მხდალ-მა,—მაგრამ ვარსკვლავთავანაც ვერა გაიფიქვ რა: ეკოთხე თუ არა,—შურდულით ვაქანენ დედამიწისაკენ, თითქო ჩემი სიტყვა ლაზერათ ჩაესოთ გულში, არა, რათ შემოამართიან, თუ ჩემ სურვილს არ აასრუ-

ლებენ? მომწყინდა ცა და ახლა ქვეყანას ვესტუმრობი. „შეძილდა იქ უფროც გავიგო; ვინ გააჩინა სიყვარული“—ვაიფიქვია ფერიამ, რამდენჯერემ ვინაევარა მოკრიალდებულ ცის კამარზე და შემდეგ ცქრიალ ფართქალით დაეშვა დედამიწას.

კლიდან მინანქარე ანკარა წყარომ ნაპერწყლვებით ამოაჩქევა სვეკალთა წინწყლები და კისკას-რაკრიათ დაათქარა მწეანე ბუჩქებზე მჯღომ ფერას, რომელსაც ბროლით თერთი ყელი გვერდზე გადაედლო, ოკრას ფერი თმა მომიჯაღდებლათ გადაწყწურა ფართო მარბეჭე და ერთი-მეორეზე გადადებულთი პატარა ფეხები, ბავშური მოურიდებლობით გამოეჩინა ფუფუნა სამოსლის ქვემოდან.

მთელი არე-მარე ამღერა ამ შეენიერი ქალის დანახვამ ცელქით მონაჯარდე ნივმა ფრთა ვაჭვრა ვარდყავილთა ბუჩქებს და მათგან გაციენული ფურცლები ნარანარი რხევით მიმოჰვანტა ქალის ირგვლივ; ათას წლოვანმა ფუჭვარამა ქელი მოიღრიკა შეენიერების წინაშე და თვისი საამა სუნენლება გუნდრუჯათ უქმია მას; იაღონმა სულ სხვა კილოზე აამკენესარა თვისი ჩანგი და დანარჩენი ფრინელებიც საერთო კიკუკვ-ვლობით აღდებდნენ ტურფა ასულს. ფერია კი არაფერს უფრადლებას არ აქტევედა; იჯდა ბუჩქზე და პეველასავით ქანაობდა იქით-აქით.

ყველგან სიყვარული და სიყვარული! ფუჭ, იმის გამჩენსაც კი რა უთხრა! არ მინდა ის ვიბოვნო, მას შეეუყვარდე, ვინც სიყვარული გააჩინა... ჰა-ჰა-ჰა, შენი ჰირომე, რამდენი გრძობა უნდა იყოს იმის გამჩენში! ოპ, რა ბედნიერი ვიქნები! ანა, მაშინ უყურონ ჩემ ცქრიალ-ნავარდს: ვაგილიმებ, ნახათ გადაუხებდე სამყაროს და მთელი ქვეყნის მზრნავ ღერძს ძირიანათ შექმნავე, შევეტარებმანებ. მე რა რომ არ შემეყვარაო? მპ, რას ვაზობ! ვანა შეიძლება მე მენახა და არ შემეყვარაო? ქეაც კი მეტრიალს, არა თუ სხვა რამ, და ქვანზე უცივესი ხომ აღარ იქნება. ეპ, ნეტავ კი ვიპირეო და მერე მე ვიცი... ეს ვილაა, ასე გამტყუებულთი რომ დავს? მგონი, მე რომჩერებო... მაგრამ, არა... ცის კიდეს ვაპურებებს. საწყალს, რანაირათ აცვი! ეტყუანა ძალიან ღარიბი უნდა იყოს, მაგრამ თუ-მომწონათ კი ვაჩერებულა... აი, ამას უნდა ეკითხო, ვინ გააჩინა სიყვარული და სწორ პასუხსაც მომიცემს, არა! ხა, ხა, ხა, ხა, — ვადიკისკისა ფერიამ და ტაში შე-მოპტარა,— ვიგონი, თავის სიკოცხლემში სახელიც კი არ გაუღონა სიყვარულსა... ვითომ, რატომ არ უნდა ეკითხო? თუ არას მეტყვი, ხომ არას წამართმეცს? — ვაიფიქვია ფერიამ და ეშმაკურათ ჩაიკინა.

წყაროსთან მდგომი კაცი წყნარი ნაბიჯით წა-

მოვიდა ქალისაკენ და, თითქო ახლა შენიშნა, გაეკირვებით შეხვდა შეენიერ არსებას. ფერიამ უფრო გარკვევით დაინახა იმ კაცის სახე და მოზოთულობა: ფერ შერთალ მიგონდა პირის სახეზე გიშრის ტბასავით მოეფოჯარა და გრძელი წამწამებით შემოაჯარგლული შეენიერი თვალები, რომელსაც მაყელის ფერი წარბები ისეთი შურით დასურბედენ, თითქო გველი განართხულა წინაზე და გულის კანკალით ეპარება თავის მსხვერპლსაო. ტანზე ეცეა ვახუშნებელი ანისაშოსა ისე ნელ-ნელა მოადგამდა ფეხებს, თითქო ეშინოდა არსად დარჩენიყო თავისი დარღვეული დაუბრუნელი ჩექმები, რომელიც ძლივს ძლივობით აპარდებოდა ფეხებზე. პალატოს ცალი მხარე ვადგეწია და მარცხენა ხელი წიწხე შემოიდგა, მარჯვენა ხელით-კი მდიდურათ მოათამაშებდა ხორკლებსა აყვითელ ჯოჯს. ყველაფერს ათვალდებოდა, ყველაფერს ცნობისმოყვარეობით აკრებოდა. იგი კიდეც მიუახლოვდა ფერიას. ქული მოინდა, ხელი გადისა შეენიერ ბუჭუჭ თმაზე და გმირული ხიამაყით ვადახვდა მომლოაზრე ქალს.

— მითხარბო, ვინ ვაჩინა სიყვარული? — თუხრა ფერიამ და თვალთვალში გაუყარა უცნობ კაცს.  
— სიყვარული? — გაეკირვებით წარმოხსენებდა ყმა-წილმა კაცმა—სიყვარულს ვინ ვაჩინდა, თუ არ მძღვთა მძღვეი ძალი.

— ჰო და მინდა ვიცოდე, რა ძალია, ან სად არის იგი.  
— ყველგან, სადაც-კი მოისურვებს: ცა, დედა-მწიწა, ხალული და უბილაგი—ყველა მას ეძინება, მის ფერხთა მტრთა სდგმა. შენ და მთავრე იმის სხივითა უკუნეთათ ჩანს, სულიერი და უსულთა იმისი ეშხით ცოცხლობს, ბუნების მოძრაობა იმის მაჯისცემასთან არის შეერთებული, მთა და ბარი, ფრინველი და მხეცი იმას დაჰხარის, ქებათქებას უძღვნი; თვით ნაზათ მქოროლი ნიავი გაშმაგებით ტრფილიანება და ზედ აკედება იმის ბროლის ყელს... და ყველა ამის მოამქედ ძალის დასაბამი შენ ხარ, შენ, შეენიერო ასულო... შენ ხარ განზორკიეული ბული სიყვარული, შენ ხარ ბედნიერება მსოფლიოსა, შენ წინ ქელს იხრის არა არსთა. არსებათ შენქნელი და შენ ხელთ არის თვით სამოთხე და ჯოჯობითი.. უძღურმა ენამ ვით გამოთქვას შენი დიდება, ცის ანგელოზო და ვინ იქნება შემომქმედი სიყვარულისა, თუ არა შენი სილაშაზე, უმანკობა?!

— რა მკვერ-მეტყველია! — ფიქრობდა ამ ლაპარაკის დროს ფერიამ და ქალურის კოპწიანობით ატრიალებდა კისერის იქით-აქეთ. ხან-კი მინახული თვალებით ახედავდა მის წინ მდგომ ყმაწილს, სუბიერათ გაიღიმებდა და მორცხვით დახრდა თავს.

ყმაწილი კაცი იღვა იმის წინ და, თითქო-გონაჩენს მოეღისო, თვალს არ აშორებდა ფერიას  
— მანც ეკრა ვაგიე-რა! — შენ ხარ განზორკიელებული სიყვარულიო, იქნება ყველაფერი ვარ, მაგრამ სიყვარული ცოცხე არ ვაჩინებო. მამ არ იციო, ვინ ვაჩინა სიყვარული? — განმეორებით შეეკითხა ქალი.

— შენ, ქვეყნის ნეტარება!  
— კიდე და კიდე! მე რათ ვაჩინდი? მე თუმცა მატებობს სიყვარული, მაგრამ ამასთან მტანჯავს კიდეცა და სულელი ხომ არ ვიყავი, რომ ჩემი სასჯელი მევე მომეკრუნებანა, ან თუ ვაგაზენდი, ვნა სამოთხეს და ჯოჯობტოს ერთათ შევეერთებდი? არა, სიყვარული ისეთმა ვაჩინა, ვინც...

— რა, ვინც? — ჰკითხა ყმაწილმა.  
— რა და... ვინც თათონ არ ვაგებმის იმის მახეში... მე გვინა, ასეა...  
— მერე, ვინ არის ისეთი, რომ იმის მახეში არ ვაგებას? ყველას სიყვარული ასულდებმულებს, შეენიერო.

— მანც...—მოკლეთ მიუგო ფერიამ; თუშკა გულ ნაკლული კი დარჩა, რომ სასურველი პასუხი ეერ მიიღო.

ყმაწილს უნდოდა კიდევ ეთქვა რამე; მაგრამ ფერიამ სულ სხვა მხარეს მიაპყრო თვალები. ერთი უფერათ შენაძრია ბუჭტი და ველასავით ვასრიალდა წყაროსაკენ.

— მამაო, შენ კარგათ შესწავილილი გექნება საღმრთო წერილი და არსად ამოგკითხვას; ვინ ვაჩინა სიყვარული? — ჰკითხა ფერიამ ბერს, რომელსაც ანაუარის კალთები იღვლებ ქვეშ ამოაფედა; წყაროსთვის პეშვი შეეშვირა და მხურვალეთ ეწაფებოდა ანკარა წყალს. ბერი საშინლათ შევართო ამ მოულოდნელმა ხმამ: საცოდავს, ქვაზე დახევილი ფეხი დაუცდა ანაუარის კალთებიც ჩამოეშალა და კოქებადმდ სულ დასეველა წყალში.

— ვინ ხარ და რა სულიერი ხარ? — შესძახა ბერმა—ოა, დამიფარე სამას-სამოცდა ხუთო წმინდა გიორგო... უფალო შევეწყალებ, უფალო შეგაოწყალებ... არცე-დარცე ვაძიხვდა ბერი და იბრავუნებდა გულში ხელს. საწყალი, რა ნაირათ შეშინდა! ძალიან შეშინდა, მაგრამ ორჯერ-სამჯერ-კი შემპარავ მეძებარივით ვაპკრიატა ქალისკენ. რომელიც ღიმილით მიჩიებოდა გულ-ვახნეთქილ ბერს.

— მე ფერია ვარ, მამაო, რისა გეშინია თუ იცი, მითხარ ვინ ვაჩინა სიყვარული? —  
— სიყვარული... შეილაო, სიყვარული... — ექნის-ბოროდით ამბობდა ბერი, —სიყვარული ღმერთმა ვაჩინა, საღმრთო-წერილი ქადაგებს. ყველას, ყველას

უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი... უჰ, ჩანაჩათ შეგვკრთი, მომიტყევეთ, მგონი, თქვენც დაგაფრთხეთ ჩემის ურიგო საქციელით! ეუბნებოდა ბერი და თვალს ველარ აშორებდა ფერიას.

— არა უშავსრა, მამაო, მე არ შეშინებია, ეგ ანაფორის კალთები აიწიეთ, თორემ სულ ამოგვეწყუწათ.

— დაიბ, სიყვარულს საღმრთო-წერილი გვიბრძანებს...—ბუტბუტებდა ბერი და თან ანაფორის კალთებს იწვედა.

— მამაო, მე სულ სხვა სიყვარულის გამჩენს გვითხავ.

ბერი, თითქო ვერ მიხვდლა, ისეე თავისას ვაძიხბოდა.

— როგორც ეხედავ, არც შენგან გამოვა სამართალი!—დაიძახა ფერიამ და ახლა სხვა მხარეს გასრიალდა ბუჩქებისაკენ.

— მოიცა, შეილო, არ მინდოდა ცოდვიან სიყვარულზე ლაპარაკი, მაგრამ რაკი ეგრე გინდა, მობრუნდი და გეტყვი... ჩობრუნდი, შენეიგრო, მობრუნდი...—მიძახებოდა ბერი, მაგრამ ფერიამ უკანაც არ მოიხვდა, ისე იყო გულმოსულა.

## II

— ოჰ, ჩემო პატარავ, გამარჯობა შენი! მიესალმა ფერია სოფლის გოგონას, რომელსაც ძველი კაბის კალთა ამოეწია, ორივე ხელებით მაგრათ ჩაფრინდა, რამ არ დამკლეს და არ დამეხნეს რაკ კალთაში მაქვსო და შიშველი პატარა ფეხებით უღარავლათ მიტყაუნობდა ჩირგებსა და ჩირგებს შუა.

ვაეში როგორღაც შეკრთა და თვალები მიამჩიო ქალის ბრჭყვილა ტანსაცმელს.

— ნუ ჰკრთები, ჩემო პატარავ!—აღერსიანათ უთხრა ფერიამ და ხელი გადაუსვა თავზე, — შენ არ იცი, ვინ გააჩინა სიყვარული?

ბავშმა პირი გაალო და კითხვაზე და თითქო იგონებს ჩასმეო, ისე ჩაფიქრდა. ფერიამ ხელა მოხვია პატარა გოგონას, უნდოდა გულში ჩაეკრა შემკრთალი ბავში, მაგრამ ვილაცის უკეხმა სიტყვებმა და თითონ ბავშვის მიუყარებლობამაც შეაჩერეს იგი.

— გამიშეით, გამიშეით, ღმერთო! ხომ სულ დამეხნა ეს სოკაები!.. უჰ, ჯანდაბა და ჯარხანა. — დაიძახა გოგამ და წარბშეკრით შეჰხედა ფერიას.

— გოგო, შე სასიკვდილო, რას ჩამოჩი და აღარ მოშავდები!..—ეძახებოდა ბავშს ხუმთერ-თექეს-მეტის წლის ქალი, რომელსაც ზურგი გამხმარი ფიხებით დაეტყროთა და უკან არც კი იხედებოდა ისე ეძახებოდა თავის უმცროსს დას.

— ჰო, ჰო მოვალ.—გასძახა ბავშმა და მიწაზე დაბნეულ სოკოებს დაწედა ასაკრეფთ, მაგრამ, საცოდავს, ნაცრის ფერი დაედა, როცა ძირს დაიხვდა: შეენიერი ქორვა სოკოები ერთი აღარ იყო მთელი.—ზოგს ღერი მოტეხოდა, და ზოგიც ფერიას ფეხებს ემსხვერპლანა.

— რალა ექნა ახლა? ხომ მომიკლავს ჩემი და! — ამბობდა ცრემლ-მოარეული ბავში და საშინლათ ებუზღუნებოდა ფერიას.

— ნუ წუხარ, ჩემო პატარავ, მე ავიკრეფ შენ სოკოებს.—უთხრა ფერიამ და ძირს დაიხარა, მაგრამ გოგოს მკეხე სიტყვებმა ხელი გააშვებინეს მას.

— თავი დამანებე! შენი არაფერი არ მინდა...—მრისხანეთ უთხრა ბავშმა და ხელი წაჰკრა ფერიას.

— რა მიუყარებელი ყოფილხარ, ჩემო პატარავ! მე მინდა გიშველო და შენ კი ახლოსაც არ მიკარებ.

— „მიუყარებელი!“—გაიძვირა გოგამ—შენი ბრალია, რომ კალთა ხელიდან გამკდა და ამღენი სოკო დამეხნა... უჰ, უჰ,—ამბობდა გოგო და თავდახრილი გულ-და-გულ ბოჭუდა სოკოს.

ფერიამ ერთი გაინჯარა და და ელვის უმაღესათ მობრუნდა გოგონასთან.

— აა, პატარავ, ხედავ, რამდენიმე სოკოები მოგიტანე? ახლა მინე შემიჩოვდი—უთხრა ფერიამ და აუარებელი სოკო აჩვენა თავის კაბის კალთაში.

— უჰ, სად იშოვენ ასე ჩქარა?—სინარულით წამოიძახა ბავშმა, საქარათ გადაჰყარა თავის სოკოები და კალთა მიუშერია ფერიას კალთას.

— თუ იცი, ახლა მინე მითხარა, ჩემო კარგო, ვინ გააჩინა სიყვარული?—ეუბნება ფერია და თანაც თავის საესე კალთას გოგონას კალთაში კლიდა.

— სიყვარული!..—თითქო ახლა ვაიგონაო, ვაკვირებთ გაიმეორა გოგონამ.—სიყვარული პოეტმა გააჩინა.

— „მე, ეს აღარ ხუმრობს!“—გაიფიქრა ფერიამ და თვალღმში შეაჩერდა თამაშათ მოტიტინე გოგოს.

— სიყვარული პოეტმა გააჩინა!—გაიმეორა გოგამ,—შენ ხომ იცი ჩენნი პოეტი? აი, სულ ლექსებს რომ ამბობს ხოლმე? ერთხელ მამამ თქვა: ეს კაცი იმიტომ მოველინა ჩვენ ქვეყანას, რომ ყველას სიყვარული ჩაუნერგოს გულშიო, სუტველადფერს ეტრფის და სიყვარულით იხსენიებსო. რასაკვირველია, იმან ჰაიანა სიყვარული! შენ ხომ გინახავს აბრეშუმის ქაი?

— ბავშობისას მინახავს! მერე რა?

— და საშიშარია, არა?

— რათა, საშიშარი რით არის?



— უჰ! მე ძალიან მეშინოდა იმისა. ერთხელ პოეტი მოვიდა ჩვენსა და, როდესაც დაინახა, რომ მე პარეშუმის ქიან ჩელტს ვერ ვეკარებოდი, ისე აქო, ისე შეამკო, რომ მერე სულ გულში ვიხუტებ აბრეშუმის ქიას. აღარც მეშინია და ძალიანაც მიუვარს... შენც ხომ გიყვარს? რა კარგია შენი კაბა! — გოგონამ ხელი მოაგლო კაბაზე — უჰ გაიქცევი, თვა-რა გამოახავს ჩემი და! — თქვა გოგომ და გაიქცა.

ფერია გაშტერებული გაკუჭრებდა კუნტრუმს-სიმღერით მიმავალ გოგოს, რომელიც უტბათ შედგა, უჟან მიიხედა და, ხელით ნიშნებთან ერთად, ხმაძალდა დაუძახა ქალს:

— აგერ, მე რომ გითხარი, ის არის. ხედავ? აი, ის არის პოეტი; ხომ დაინახე, გორაზე, გორაზე! — შემოძახა გოგონამ და საჩქაროდ მოკუჭრესლა ბონისაკენ.

ეს ხომ ის კაცია, წელიან რომ აღტაცებთი მაკებდა და მადიდებდა. გაიფიქრა ფერიამ — ნუ თუ ეს არის პოეტი, ამან გაჩინა სიყვარული! — მერე რაინათ მოეხიბლევ და... ვიშ ნეტარებავ! — წამოძახა ქალმა და კისკას-ცქირალით ჩაეკონა პოეტის გულს.

განა ღირსი ვარ, ამ ენგელოზის სახეს შევეყურებდე ამ ბრალის ყელს ვებნეოდე! ვინ მე, ბედისაგან დაჩაგრული, და ვინ შენ, ცისა და ქვეყნის დიდება, ნეტარება და სიცოცხლე? — ჩაუჩრჩხულებდა პოეტი ფერიას, აღტაცებული ჩაჩერებოდა მარმარილოსაგან სვეტე გულ-მკერდში და შეეწიერ ოქროს ფერ თმაზე აღეჩისთ უსეამდა ხელს. ფერია უფრო და უფრო ეკერებოდა პოეტის გულს. საბრალო ქალი სულ ერთიანათ მოჰხიბლა, გადარია სატოვოს სიტყვებმა: ის კითოდა, ჰკანკალებდა, მუქლს იყრიდა სიყვარულის ტაძრის წინაშე, მსხვერპლათ ეწირებოდა მას ხოლო თვით სიყვარულის გამჩენი\* — კი უფრო ძლიერი ტალღებით აღედგებდა მშუოთარე ზღვას, რომლის ზვირთები შეუბრალებლათ ევაზებოდა უმანკო მსხვერპლს.

### III.

— ოჰ, რანაირათ ცხელა! სწორათ სული მეხუთება, მოსვენება ვერ მიზოვინია.. რა კარგი იქნება, ცაში ანავარდება რომ შემოდლოს! მე რომ შენ ეყო, აქ ამ ქვეყნის ქარ-ტეხილში არ ჩაევიკლავ თავს! — ეუბნებოდა პოეტი ფერიას და უღემაშებს იკრებდა.

— მერე, უშენოთ რანაირათ ვიცოცხლო, ჩემო ნეტარებავ! განა შენთვისაც ძნელი არ იქნება უჩემობა?

პოეტმა პასუხი არ მისცა. რამდენჯერმე გაიკა-

გამოიარა, დაავლო ხელი თავის ძველ ქუდს და საითყენლაც გასწია.

— მე ამ კაცის საქმე მაკვირვებს! — ბუტბუტებდა ფერია, — ისე აღტაცებული იყო და ახლა კი ასე დაუშვა ფრთები! მერე იმას, „სიყვარულს გამჩენს“ შეუძლია ამ გვარი გულ-გრილობა? არა, წაეალ, მეც იმის გზას გაუუღებები, მიზნებს გამოაკეთებ... ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი და რა უბედური ვარ?

ამ სიტყვასთან ერთად, თითქო ფრთები შეუცვეციათო, უღონოთ აფიროვიდა გულ-ჩაწყვეტილი ფერია.

პოეტი მიწოლილიყო შეეწიერათ ტოტებ გადაშლილ მუხის ძირას საკინძე გადაესხნა და ისე გულ-და-გულ ხეინავდა, თითქო სტამბოლი ერთ ჩირათაც არ უღიხისო.

აქ იპონა მოსვენება და ჩემთან კი ვერა\*! — გაიფიქრა ფერიამ, — რა შეეწიერება, ანგელოზია, ნამდელი ანგელოზი... — ფიქრობდა შეეყვარებული ქალი და უახლოედებოდა თავის მომხიბლულ მკვერ-მეტყველის ყელს. აგერ, კიდევ დაეხარა მძინარე პოეტს, რეტ-დასხმულა დაეკონა იმის მკერდს და მხურველეს გრძნობით დაუწყო კოცნა. პოეტის ტუბილ ძილს არაფერი არ აერთობდა.. შეგუბული ცრემლები დაბალუბით გადმოსცდა ფერიას.

— გმონა სულ დაუწყველ მკერდ\*, — გაიფიქრა ქალმა და სიფრთხილით გადაუსვა ხელმანდილი, რომ ცრემლები გაეშრო. მაგრამ თითქო ლახვარი ჰკრესო, ისე გაუჩრდა ხელი საბრალო ქალს. პოეტის მკერდზე საოცარი რაკა-რუკი გაადინა რალაკამ: ქალის ცრემლები ყინულათ ქვეულოყვენ პოეტის გულზე და წერილი კენჭებივით ხმაურ-ბდენ ფერიას ხელის შეებნებე.

— რათ არ ვიცოდი, სიყვარულს სხვა არეინ გაჩენდა, თუ არ ისეთი, რომლის გულიც მას არ მიიკარებს! სასჯელს ყოველთვის ის გაჩენს, ვინც დარწმუნებულია, რომ ჯალათის ხელი მას ვერ შეეხება!.. ღმერთო! მე ვტირი, მდღლარე ცრემლათ ენდები და ეს მდღლარებაც კი ყინულათ აქცია ამის-მა გაქვადებულმა გულმა... არა, მე აქ აღარ მედლომება! ისევ ზეცას მიემართავ.. ყველა, ყველა ტყუის, მაგრამ ყველაზე მეტათ ტყუის პოეტი, რომელიც მუდამ სიყვარულს ჰქადავებს...

ფერიამ ერთხელ კიდევ გადახედა მძინარე პოეტს და გულ-დაწყვეტილი ანავარდა ლაყვარდ ცის კამარაზე...

### რუსეთის შინაგანი კრიზისი.

**ს**ატახტო ქალაქების გაზეთებში, ამას წინათ, ჩვენ ამოვიკითხეთ ერთი ფრიად საინტერესო ამბავი. გაზეთებში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის სახელმწიფოს საინფანტო უწყება ამ ქაშათ უკვე შედგომია სამშრომლო და განსწავლავის საქმეს სხვადასხვა სააღმშრომლო და სამრეწველო დაწესებულებებში. ეს ამბავი მეტათ საკულისხმოა და ყურადღების ღირსი; ამიტომაც ჩვენ არ გვინდა სულ უუყო რადღებოთ დაეტოვოთ. ეს ამბავი, ე. ი. სამუშაო დღის განწესებების საქმე მართებლობის მიერ მითა ყველაზე უფრო ღირსშინაშენილოვანი, რომ იქიდან აშკარათ ჩანს, თითო უმაღლესი მთავრობა ასე თუ ისე დარწმუნებულა ფაქტებში, ქაჩხნებში და სხვა გვარ სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავე ხალხის უნუგეშო მდგომარეობაში და მოუწადინებია რაიმე წესრიგის შეტანა იქ, სადაც ყველა პირთ თვით-ნებობას გარდა არავითარი წესი, არავითარი კანონი არ არსებობს. საკულისხმოა ეს იმ მხრივაც, რომ იმ დროს, როცა ყოველგან, რუსეთის ყოველ კუწკულში, გაუკაცობით მეცადინობა, შეუკაცობელი თავის მტრეგანა იმ კლასთა თუ წოდებთა შორის, რომლებიც ქაშათ ვითარებას სიმდიდრით და შეძლებულობით საზოგადოებრივი ცხოვრებას სათავეში დაუყენებია. თქვენ იკითხავთ: რა ამომრავებთ, რა აღდგებთ, გასხარებული მეცადინეობით რისთვის იღოლავენ და იმტრეგენ თავს დღევანდელი საზოგადოების სათავეში მდგომი კლასნი?—კიდევ უფრო მეტი გამდიდრებისათვის და რაც შეიძლება პეტე შეძლების შემენსათვის,—მოაკვებთ ჩვენ, და ამ პასუხში, რასაკვირველია, ნამცეკი სიკრუე არ იქნება: ჩვენი ნათქვამის სიმართლეში დასარწმუნებლობით, მოიგონეთ მხოლოდ წოდებულნი მოძრაობა რუსეთის სააღმშრომლო და სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლებისა; მოიგონეთ ნიჭი-ნოვეგრობადის გამოთენა იარმარკოუთით, მოიგონეთ იქვე გამოუყენის დროსვე მომხდარს სააღმშრომლო და სამრეწველო კრება; მოიგონეთ შემდეგ პეტერბურგში მოწვეული კრება ტარიფების შეცვლის შესახებ და აკრეფე სამეურნეო რჩევის სხდომები ვასუთ თვეში. მოიგონეთ ამას გარდა მადნის მწარმოებელთა კრება, 25 ოკტომბრით დაწყებული, ქ. ხარკოვში, შაქრის მწარმოებელთა ოზოგენები ფინანსთა მინისტრის მიმართ სხვადასხვა გვარი შელაგითის მოსაყიდვლათ, რომ კიდევ უფრო ადვილათ გაეკლიფონ შეიდეგლო საზოგადოება; მოიგონეთ ამასთანავე აუარებელი თხვენები და შუამდგომლობანი უმაღლესი მთავრობის წინაშე სხვადასხვა ალაგას რკინის გზის გა-

ყენისათვის, თუ სხვა გვარ სააღმშრომლო და სამრეწველო საქმის დაწყებისთვის.

ჩვენ იმდენათ ბრმა არა ვართ, ვერ დავინახოთ, რომ ყველა ამას, მთელ ამ გაუკაცობულ მოძრაობას ეკრძოა პირთ თუ მთელ საზოგადოებრივ კლასთა, განმარტებას ვარა და სხვა გვარი, უფრო ღრმა მნიშვნელობა არ ჰქონდეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. მაგრამ ამ მხარეს ჩვენ აქ არ ვხეხებით, პირველათ იმიტომ, რომ ეს გარემოება აუცილებელი შედეგია კაპიტალისტური წარმოებისა, როგორც საზოგადოთ ყველა ფორმის წარმოებისა, და მეორეთ იმიტომ, რომ ჩვენ თითონ არა ერთხელ აღვინიშნავს ეს. ამ ქაშათ ჩვენ მხოლოდ იმას ვხეხებით, თუ რას იწყებს, რა გავლენას ახდენს კაპიტალის წარმომადგენელთა შეუკაცობელი წადილი გამდიდრებისადმი თანამედროვე საზოგადოების გაყვლეფილ ნაწილზე. ეს მით უფრო; რომ ამ უკანასკნელის, ე. ი. მუშა ხალხის შესახებ უმრავლესობას ჩვენში, როგორც ზევით ვამბობდით, არავითარი ცნობა არა აქვს. ეს სახელწოდება, ე. ი. მუშა ხალხი, არავისთვის უცნობი არ არის; ისიც მართალია, რომ იმას ყოველი ჩვენივენი მუდამ ხმარობს ლაპარაკში, მაგრამ თუ რას წარმოგვიდგენს არსებითათ მუშა ხალხი ჩვენ დროში, რით განსხვავდება ის სხვა დროის მუშა ხალხისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი ყველა ეპოქის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს, მხოლოდ სხვადასხვა ფორმით,—ამის შესახებ უმარავლესობას არა ვაგებებარა, და ეს მეორე მხრით, არც ვასაკვირველია. რა თქმა უნდა, ყველა ამის ახსნა და განმარტება მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ახსნა იქნება, მისი ნამდვილი ფილოსოფია; ანუ კიდევ უფრო სწორეთ რომ ეთქვას, ეს შეადგენს მთელი თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის შინაარსს. რასაკვირველია, ჩვენ ამ წერილში სრულებით ვერ შევიძლებთ ამ გვარ შრომას და რომც შევიძლოთ, აქ ეს შეუსაბამო იქნება, რადგანაც ჩვენ ზუბალთა ქიანოიკას ეწვიეთ, ჩვენ გესურს ეთქვას რამდენიმე სიტყვა მხოლოდ სამუშაო დღის განწესებების შესახებ, რადგანაც ეს კითხვა ფინანსთა სამინისტროს უწყებაში იკლევია ამ ქაშათ; მაგრამ წინაპირველათ საჭიროა რამდენიმე სიტყვით განვმარტოთ, თუ რაში მდგომარეობს სამუშაო დღე.

მას შემდეგ, რაც ადამიანი თავის შრომით იწყო თავის კრება, სამუშაო დღე რამდენიმე ნაირათ იკვალა თავისი ფერი, ფორმა-ეფორმის ცხოვრების დროს, ადამიანი ანუ ფაქტუი ადამიანთა რამდენიმე საათის განმავლობაში რომელიმე ნადირის გინდ თეგის დაჭერის დროს მეტათ დიდ ჯაფას იტანდა, მაგრამ მიახწევდა თუ არა თავის მიზანს, ე. ი. დაი-





ძირის ტერს შობა.

ჭერდა ნადირს, გინდ თევზს, მთელი დღეები ისე  
გადიოდა, რომ ის სრულ მოსვენებაში იმყოფებოდა;  
ამწიხარა ჩვენ დროშიაც ცხოვრებენ ველოური ხალხნი.  
სამუშაო დღეს აქ სულ სხვა სახე აქვს, ვინემ შემ-  
დგე ხანდში, ის რაღაც განუსაზღვრელია და სამუ-  
შაო დღის სახელი მას არც კი შეესაბამება. მაგრამ  
შემდგეში პირველ-ყოფილი საზოგადოების გულში  
დაიბადა და განვითარდა შინაობა; ამას შემდეგ საზო-  
გადოთ წარმოებას უფრო შეუწყვეტელი ხასიათი ეძ-  
ლევა და სამუშაო დღეც უფრო განსაზღვრული  
ხდება. მონა პატრონის სრულ კეთილმოებას შეად-  
გენს, ის უზრარლო ნივთია, რომელსაც მისი პატრო-  
ნი, როგორც უნდა, ისე მიიხმარას; განსხვავება მხო-  
ლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ის სხვა ნივთთა შო-  
რის სულდგმულია, ამიტომ რომ თავის პატრონს  
მეტი საზღვრობა მოუტანას; მეტი მოვლასაც  
თხოვლობს. ყოველ შემთხვევაში მონის მეპატრონე  
თითონ არის დაინტერესებული, რომ ნივთიანთ მო-  
უაროს თავის საკუთრებას, უზრარლო ნივთი აბის ეს  
უკანასკნელი, თუ სულდგმული საქარელი. და განა  
ჩვენ დროში პირუტყვის მეპატრონე დაინტერესებუ-  
ლი არ არის იმაში, რომ რაც შეიძლება კარგათ  
შეინახოს ის, თუ მისგან კარგ საზღვრობას მოეცის?  
ამიტომ კლასიკური ფორმა მონობისა იყო მაშინ,  
როცა მონები ეწოდებოდნენ ზომიერ ჯაფას და ამასთანა-  
ვე ოჯახის წევრებთანაც ირატებოდნენ. პირიქით, რო-  
ცა მონობა გაცილდა ამ წყურბლად და მონები უზო-  
მო შრომის უფლებში შევიდა, იმ დროს მონობა გვე  
იხრწებოდა და საზოგადოებრივი წარმოების სულ  
სხვა გვარი ფორმა იბადებოდა და ვითარდებოდა.  
ამის მაგალითს წარმოადგენს ჩვენ საბჭოების და  
რომის ისტორია მათი დაცემის და გადაქმნის დროს.  
ამიტომ საზოგადოთ კლასიკური მონობის დროს მო-  
ნა მუშაობს იმდენს, რამდენადაც მას ძალა შეეწყის  
და სამუშაო დღეც ამისდაკლებათ იზომება.

მონობაც შეიცვალა, მან დაუთმო თავის ალა-  
გი წარმოების სხვა ფორმას, კლასიკურ ფორმაში მიწაზე  
დაკერას, ბატონ-ყმურ ურთიერთობას. რასაკვირე-  
ლია, მონობის ნაშთი აქა-იქ კიდევ დარჩა, თვით  
ახალ მებატონეთ თავის შინაურ მონაშასურებებთა მო-  
ნები ჰყავდით, მაგრამ მთელ საზოგადოებას მაინც  
სულ სხვა ფერი დაეღვა. ეს ის საზოგადოება იყო,  
რომელსაც ევროპაში ფეოდალიზმს უწოდებენ და  
ჩვენში ბატონ-ყმობას, კლასიკური ფორმა ბატონ-  
ყმურ ურთიერთობათა იმაში მდგომარეობდა, რომ  
ცლები, ყმა, კოლონატი, იღებდა რომელიმე მემამუ-  
ლის, ფეოდალის, ანუ ჩვენებური თავადის, ბატონის  
მიწას, რისთვისაც ის ვალდებული იყო გადასახადი  
ეძლია მიწის პატრონისთვის ან პირდაპირ დღით,

ან რამდენიმე დღის მუშაობით კვირაში, თვეში თუ  
მთელი წლის განმავლობაში. ფეოდალიზმის დროს  
საზოგადოთ ბატონის კეთილ-დღეობა, ე. ი. მისი  
შეძლებდა და სიმდიდრე თვით მის მამულზე და-  
სახლებულ გლეხებზე ჰქონდა; თუ ეს უკანასკნელი  
შედარებით შეძლებული იყო და მდიდრებია, მაშინ  
მდიდარია თვით ამათი ბატონიც, რადგანაც მათ ამ  
შემთხვევაში უკლებლათ შეუძლიათ თავის მოვალე-  
ობის შესრულება. ამისათვის ფეოდალი, ბატონი,  
ისე, როგორც მონის პატრონი, დაინტერესებულია,  
რომ მის მიწაზე დასახლებული გლეხი არ გადავიდეს,  
მისი კერა არ მოისპოს და შემდეგაც მოეყოლებოდეს,  
რომ მისი ვალდებულება უკლებლათ შეასრულოს.  
ამასთანავე აქვე უნდა შევიხმოთ, რომ სამდიდრე  
ამ დროს იზომებოდა ნივთებით, ქონებით, ე. ი. პუ-  
რით, ღვინით, პირუტყვით და სხვა ამისათვისებით და  
არა ვერცხლით და ოქროთ. თქმა არ უნდა, რომ ეს  
ლითონები ძვირფასი და იშვიათ საურჯეს შეადგენდნენ,  
მაგრამ როცა რომელიმე ბატონის შეძლებზე თუ სიმ-  
დიდრეზე ჩამოეყარებოდა ბაზას, იტყვიდნენ: ამას ამდენი  
და ამდენი პური და ღვინო მოუდეს, ამდენი პირუტყ-  
ვი ჰყავსო და სხე. და არა ამდენი ოქრო და ვერცხ-  
ლი აქვსო, როგორც ჩვენ დროში ამბობენ ხოლმე.  
ამას აქ ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ შემდეგ ხანებ-  
ში, როცა თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოე-  
ბის წესმა იწყო განვითარება და ამასთანავე დაიბა-  
და და იწყო განვითარება, აგრეთვე უზომო ფულის  
შეძენის წყურბილმა, მას შემდეგ ბატონ-ყმური ურ-  
თიერთობანი მეტათ გამოეყვანა, როგორც საზოგა-  
დოთ ხდება ხოლმე, როცა ერთი რომელიმე საზოგა-  
დოებრივი ფორმა უთმობს თავის ალავს მეორეს.  
ამ გასაყველ ხანის დაწერალებით შესწავლა ფორმის  
საყურადღებოა ევლასათვის, მაგრამ ამაზე ჩვენ ახ-  
ლა ვერ გავჩერდებით. აქ ჩვენ გვინტერესებს მხო-  
ლოთ ის კითხვა, თუ რას წარმოადგენს არსებითათ  
საზოგადოებრივი წარმოების სხვა დასხვა ფორმები  
თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებასთან შედ-  
რებით იმ მხრით, რა მხრითაც ჩვენ ახლა ვეხებით  
ამ მეტათ საინტერესო საგანს. მკითხველი ცოტათ  
მაინც გაიგებდა ნათქვამიდან, რომ წინანდელ დრო-  
ში სამუშაო დღის განსაზღვრა რისგან იყო დამო-  
კიდებული. ევლუტობის დროს სამუშაო დღის გან-  
საზღვრა ყოველად შეუძლებელია, ეს შემთხვევაზე  
ჰქონდა: შეიძლება სულ მცირე შრომითაც მხო-  
ვოს ევლურმა კაცმა საკები მასალა და შეიძლება  
რამდენიმე საათის განმავლობაში დიდი ჯაფაც გა-  
სწიოს და შემდეგ მთელი კვირაობით და თვეობი-  
თაც სრულ მოსვენებას მიეცეს. კლასიკური მონობის  
და ბატონ-ყმობის დროს სამუშაო დღე განსაზღვრუ-

ლია მხოლოდ მით, რომ პატრონი რაც შეიძლება თავის საკუთრებათ თვლის მონას, ყმას და ჩოგორს დაინტერესებული, ცოტათ თუ ბევრათ ზომიერ ვაფას აყენებს მათ. სრულიად წინააღმდეგს ეხედათ ჩვენ თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში და სამუშაო დღეც აქ სულ სხვაგვარი პირობებით არის გარემოებული.

ფ. მ.

(შემდეგი იქნება)

### ლ ე რ ხ უ მ ი .

**შ**ისაც ვაზაფხულის პირზე ლეჩხუმზე მოხდენია გავლა, უძეკელია, ის დიდ აბტაცებაში მოვიდოდა მისი სალი ჰავით და ღიადი ბუნების სიკვლეუცით. წარმოიდგინე, მკითხველო, ორი ენოო დღეულ ვიკება, შემწყვდელთ მთებში, რომლებზედაც შეფენილია პატარა-პატარა სოფლები, — აი საზოგადო სანახაობა ლეჩხუმისა. თვით ბუნებას გაუყვია ლეჩხუმი ორ ნაწილათ: ჩიონის ხეობასს უწოდებენ პატარას და ცხენის წყლის ხეობასს დიდ ლეჩხუმს. ცხენის წყლის ხეობა უფრო უარეთა, ვიდრე ჩიონისა. ამ ორ უმთავრეს ხეობას გარდა არის კიდევ პატარა ხეობები, როგორც ლაჯანურისა და ლეჩროშისა, რომლებიც გამეღელზე ფრიად საზარელ შთაბეჭდილებას ახდენენ.

ლეჩხუმი ქუთაისის გუბერნიაში ერთ მიჯრუბულ კუთხეთ ითვლება. ქუთაისიდან ორი გზით შეიძლება წასვლა ლეჩხუმში: ჩიონის პირის-პირ მიმავალ გზა ტყეცილით და მეორე ცხენის-წყლის პირის-პირ მიმავალ გზით პირველი არის საფოსტო გზა, შემანერითელი ქუთაისისა, ონისა და ცაგერისა; ეს გზა გაივლის პატარა ლეჩხუმზე; მეორე გზა კი დიდ ლეჩხუმში შედის. ამ უმთავრეს ტოტებს უერთდება სოფლებს პატარა პატარა ბოლიციები, რომლებიც მთებზე გველივით მიცალკეებიან. საზოგადო ლეჩხუმის გზები მეტათ სახიჯათაა, სადაც ქართლი-იმერული-კახური ურყმი თავის დღეში ვერ გაივლის; ლეჩხუმური ურყმი, ადგილობრივი გზების შესაწყვრი, იმდენათ პატარაა რომ ქართლულ ურყმის მეთედსაც ვერ შეადგენს. მართალია მთები ძალიან ხელს უშლიან გზების გაკეთებას, მაგრამ ეტყობა მაინც უწყურადლებათ არის დატოვებული, ვისიც ვერ არს, რომ გზები გააუმჯობესოს. რაჟა, მაგალითათ, არა ნაკლებ მთიანია, მაგრამ იქ გზები გაცილებით

უკეთესაა ლეჩხუმ-საზე. არა თუ მარტო გზები, ხელებიც აგრეთვე უწყურადლებათ არის მიტოვებული. ქვეითი კაცი რომ მიდის ორხრის ან დერხის ხიდზე, ისინი ისე ტოკვენ, რომ გამეოღება შიშით აღარ იციან რა ქნას, ვინ იცის, რაძდნი ადამიანი უმსხვერპლია ლეჩხუმის გზებს და ხიდებს! მაგრამ ამებს რომ თავი დაეანებოთ და მარტო ლეჩხუმის წარმოებითი ძალ-ღონეს დაუუკვირდეთ, აქ უსათუოთ ამოვიკითხავთ ნამდვილ მიზნებს ლეჩხუმის უგზოობისას კერძოთ და საზოგადოებრივი ცხოვრებისას საზოგადოთ. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას აწარმოებს ლეჩხუმი ანუ რას ჰყიდის და რას ყიდულობს. ლეჩხუმი უმთავრესათ აწარმოებს ღვინოს და სიმინდს; ამ ნაწარმოებთა გაყიდვით იგი აკმაყოფილებს ანუ უკეთ რომ ვთქვათ, იკმაყოფილებს ფულის მოთხოვნისა, რომელიც დღით-დღე მატულობს. მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში ღვინის და სიმინდის მოსავლია შესამჩნევათ ეკლო, ასე რომ ნახევარზე მეტს ღვინო და სიმინდი სამყოფიც არ მოსდით, ამიტომ ბევრია იმისათანა, რომ ახლა თითან ყიდულობს; ღვინო აწ ლეჩხუმის სუფარზე იშვიათსა მსხარებელს შეადგენს. უმთავრესი მტერი, რომელიც ღვინის მოსავლია შეუმცივნებია, არის ობი და ფილოქტერა, რომელიც ახლა გრცელდება; ეს ხუთი წელიწადია მთელ ლეჩხუმში ღვინის ხერიანნი მ-სავალი არავის უნახავს, გარდა თითო-ორიოლა სოფლისა. ზოგერთ სოფლებში, როგორც, მაგ., სანიშმა, ვენახებს-სათვის მიუწებებიათ თავი და აღარ მიუშვივენ ვლენები ამოზენ; სირცხელს რა ვუყოთ, იტყვიან მგზობლები უმამულიაა, თარემ მე და ჩემმა ღმერთმა ხელეე აკუაფუდრ ამ ჩემ ვენახსა. გარდა ამისა ლეჩხუმლებს, როგორც მთელი უძრავი ქანება, ისე ვენახიც ცოტა აქეთ: ვენახების დაქუცმაცებას აქ საზოგადო აღარა აქეს; მებუთელსაც არ მოეპოვება თითო-თითო ქვევა ვენახი, დანარჩენებს კი — ნახევარი, მესამედი, მეოთხედი, მერვედი და ხშირათ ქვევის მეთედიც; ამა, ერთი მიზანეთ, რა გამოსავალი უნდა ჰქონდეს ამ თითო ლუკმა ვენახს?! ამასთანავე მიიღეთ მხედველანაში ისიც, რომ ლეჩხუმის ღვინო დაბალი ხარ-სხისაა და ბაზარი ხონსა და ქუთაისის იქით აღარ მოეპოვება და მაშინ აშკარათ დანიანათ მთელ პერსპექტივას ღვინიდან ფულის მოკებისას. სიმინდის მოსავალი შედარებით ღვინის მოსავლთან უკეთესია, მაგრამ მაინც ვსეც კლებულობს თან-და-თან. მიზნე არის მიწის მოქაქეა და დაქუცმაცება ხალხის გამჩრავლების გამო. სიმინდი მომეტებულია გარეთ გადის დიდ ლეჩხუმში, პატარა ლეჩხუმი კი ჰკვებავს რაჟას. ყოველ წლიური სტატისტიკური ცნობების უქონლობის გა-



მო, არ ძალგების აღენიშნოთ რაოდენობა გატანილი სიმინდისა, მაგრამ იმის თქმა კი დაკუწმარტებული შეგვიძლია, რომ თან-და-თან მცირდება მოსავალი და მცირდება ამასთანვე თვით რაოდენობა გასაყიდი სიმინდისაც. ლეჩხუმში რომ ბევრი მოდიოდეს სიმინდი და ლენიო, მაშინ, ჩასაკვირველია, გზები საუკეთესო მდგომარეობაში იქნებოდა, და თუ ეს ასე არაა, ამის მიზეზია მოუსაგლობა და სიმცირე ლეჩხუმის ნაწარმოებთა, წარმოვიდგინოთ, რომ ერთ შეწინააღმდეგებელი დაიწყო სალიტერატურული ქვის წარმოება, რომელიც მრავლისაგან-მრავალი მოიპოვება პატარა ლეჩხუმში ს. ალპანის მიდამოებში, მაშინ დარწმუნებული ბძანდებოდეთ, მკითხველო, რომ ლეჩხუმში მთლიან ფერს იცვლის.

როგორც შედეგი მოუსაგლობისა ლეჩხუმში დიდი სიღარიბე სუფევს. მთელი წლის განმავლობაში მამეტებულ მცხოვრებთაგანს ოცჯერ არც კი ექნება ხორცი სუფრაზე, ტანსაცმელი ჩამოუხრეწილი აქვთ, იკვებებიან მკვდით და ღობილით, რომელსაც ხანდისხან შეატანენ ხოლმე ყველს. უღელ კვებისაგან ხალხში გავრცელებულია კუჭის ავთოყოფობა. ირავი მკურნალებს — საქონელი კი გზებობს თან-და-თან, სიღარიბე აძიულებს, რომ საქონელი გაჰყიდონ; შემცირება საქონლის თავის-თავით ხდება მიზეზთა კიდევ უფრო მეტის გაღარიბებისა. საქონლის პატრონებს, როგორც მოგვსენებთ, ცალკე ბეჯარა აქვთ დაკისრებული — სახელმწიფო ნივთების გადატანა ჯარის გავლის დროს და სხვ., და რადგანაც რიცხვი საქონლის პატრონთა მცირდება, ბეჯარაც უმცირეს ნაწილს აწევს თავს, ამიტომ ეგინი ასე გაძობა: ჩემი ხარები მუდამ ბეჯარაზე ვაჟაეთ, ის არა ღაბია, გავიყიდა და ამით შეწუხებაც ავიცილო თავიდან და ჩემი საქონელი მევე მოვიხმარო. საქონლის შემცირების მიზეზი არის აგრეთვე საძოვრების უქონლობა.

სიღარიბისავე მიზეზია აგრეთვე გლეხთა დევილიანება. იშვიათი გლეხი მოიპოვება, რომ ვალი არ ემართოს, მითხრა ერთმა ხიჯიშულმა გლეხმა. აქ ფულს ვაძვსენებლები არიან ვალიაშის მოვაჭრები, მადლები, სოფლის მწერლები და თითო-ოროლა მდიდარი გლეხნიც. ამას ნაკლებ თევში თუპანს არ გასესხებენ და ამაზე მეტად ვაძვსენბა კი უფრო ხშირია. ლეჩხუმელ გლეხთა დევილიანება იმიით განიხრება კანელ გლეხებთან შედარებით, რომ დიდი ვალი არ მძირთვთ, და საზოგადოთ აქ არც დიდი ფულის პატრონები არიან. კახეთში, მაგ., თქვენ შეხედებით მეზობლათ ერთი მხრით ათასი თუშნის პატრონი გლეხს და მეორე მხრით სრულიად ღარიბ-

დატაკს, ანუ ბოგანოს. აქ კი გლეხები ქონების მხრით ბევრით არ განიხრებიან ერთი მეორესგან.

ლეჩხუმში გლეხობა დღესაც უმეტეს ნაწილათ მამულის გამოყიდვის დროს, აქ ორი მესამედი გლეხთა ბატონისაგან თავ-დაუხსნელია, რომლებიც ასეთი დამოკიდებულების გამო მეტად შეწუხებულნი არიან, რადგან ბატონის სასარგებლოთ იხდიან მოსავლის მეოთხედს (ზოგან მესამედსაც); ამიტომ გლეხნი მუდამ იმის ფიქრში არიან, რომ მაღელ თავი თავისუფლონ ბატონისაგან. რაკი ესენი მოაზრებენ რამდენიმე თუმსანი, მაშინვე ბატონისაგან დაიხსნიან თავს. მაგრამ, ვაი, ამისთანა თავის დახსნას! ბატონმა მამული ძვირით მიყიდა, გლეხს თავის ფული არ ეყო, და აიღო ვალი, ბოლოს კი ის გამოვიდა, რომ გლეხმა მამული ცალკე დაქარა და ვალი კიდევ ცალკე დააწვა კისერზე.

რაკი სიმინდის და ლენის მოსავალი ხელს აღარ აძლევს ლეჩხუმელს, რაკი მოვალე და ბატონი მე-ღამე აწუხებს მას, იგი იძულებული ხდება წავიდეს გარეთ-სამშენებელს; და მართლაც, ჩვენ ცხელად ლეჩხუმელს ქუთაისში, თბილისში, კახეთში, ბაქოში, ბათუმში და სხვაგან, სადაც იგი ჰკიდებს ხელს ყოველგვარ ხელობას: მჭედლობას, დურგლობას, მოსახსნურობას, მოიჯარადრობას, ვაჭრობას და სხვ. ამ სახით ლეჩხუმიდან დაახლოებით ნახევარი მუშა ხალხი იქნება გარეთ გასული, რომელიც პირველ ხანებში ოჯახთან კავშირს არა წყვეტავს. როგორც მიახვს, ის ოჯახი უფრო მდიდრათ არის თურმე, რომლიდანაც რამდენიმე მუშა კაცია გარეთ სამუშაოზე წასული, ვინც ის, რომელსაც გარეთ გასული არავინ არა ჰყავს. ამას გარდა პირველი ტიპის უსამომენება და გაყრა უფრო იშვიათია, ვიდრე მეორე ტიპის ოჯახებში, რადგანაც ამ უკანასკნელ ოჯახების წევრთა შორის უთანხმოების ჩამოვარდნა უფრო აღვილია. საზოგადოთ ეს გაყრა ძალიან ხშირდება. ძველებით ოჯახებს ლეჩხუმში ახლა სრულიად ვერ შეხვდებით.

ამნაირთ ლეჩხუმელი დღეს ფულის მოთხოვნის იკმაყოფილებს უმეტეს ნაწილათ გარეშე სამუშაოთი, შიგ ლეჩხუმში არავითარი აღებ-მიცემობა არ არსებობს, მხოლოდ ლილიაშში და ცაყერში არის დუქნები, სადაც მახრის მოხელეები ცხოვრობენ. მთელ მაზრაში არაად არ მოიპოვება დიდი სამკითხველო, არც სავაჭრო საზოგადოება, არც დეპო და არც ხერხიანი ინტელექტუალი. მთელ ლეჩხუმში მიდის სულ სამი თუ ოთხი ცალი ქართული ქურნალ-ვაჭართობისა.

ახლა ენახათ, როგორიღაა სკოლების საქმე. რადგან რამდენიმე სოფელს, შარი-შარის მდებარეს,

მარტო ერთი სკოლა აქვს, ამიტომ სასურველი სარგებლობა ვერ მოაქვთ მათ. ლენხუშის სკოლები ამასთანავე ცუდად არის მოწყობილი, შერნობები არ ვარგა, მასწავლებელი მატერიალურად დამოკიდებულია სოფლის მამასახლისზე, რომელიც ოთხ-ხუთ თვეში ერთხელ თუ ჩააბარებს ჯამაგირს; ეს უკანასკნელი არასოდეს არ აღმებრძება ორ თუმანს. მასწავლებლებიც მომეტებული ნაწილათ მოუშაზდებოები არიან. სამრევლო სკოლები უფრო დაბლა დგანან სამინისტროებზე. არც ერთ სამრევლო სკოლაში არ არის სემენარიაში ნასწავლი მასწავლებელი. აქ ასწავლიან დიაკვნები, ლენხუშის მახარაში მარტო ორა მღვდელი თუ მოიპოვება საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული. მღვდლები კომლზე იღებენ ორ მანეთს ფულად და ჯამაგირიც 120 — 150 მანეთამდე აქვთ. ვერ ამისხნია, თუ რა მიზეზია, რომ განათლებული სმღვდლოვება ნაკლებათ არის ლენხუშში?

დროებით ღკხუქუქა.

### ყ ც ხ რ ე თ ი დ ა ნ .

სოველი და სასიაფლო სკოლა გერმანიაში

დასსრულო \*)

ს გ ო ლ ა.



ანამდროვე ცხოვრება იმდენათ გართულდა, გამარავალდებულად და გაძნელდა, რომ ადამიანის მთელ ყურადღებას, მთელ ძალ-ღონეს და ნიჭიერებას თავისკენ იზრდეს და საშუალოთ იპყრობს. ის ცხოვრების ახალ პირობებს ან უნდა მიეწყოს ან და გაქრეს. ეს პირობები კი სამოქალაქო პირობებია, ეს მოწყობა გაქალაქება. მამასადამე, მან უნდა აღიჭურვოს ისეთი იარაღით, რომელსაც მოქალაქეობა მოითხოვს და მას შეეფერება. ამიტომ არის, რომ ყოველ ნაირი დაწესებულება დღეს ან ერთიანათ ამ გზაზე დგას, ან და აქეთ მიექანება, უწინარეს ყოვლისა სწავლა განათლება. მთელ ევროპაში ამის მიზანი ერთი და იგივეა, ადამიანი შეიპაროს მოქალაქობრივი ცხოვრებისათვის. გერმანიის სკოლაც თან-და-თან ამ ხასიათს ღებულობს. მას ცხოვრება აიძულებს საერო საგნებს ფართო ალაგი დაუ-

თოს, მოწაფისაგან მოქალაქე აღზარდოს. მერა ეს სამოქალაქო, საერო ცხოვრებისათვის მომზადება სასულიერო წოდების ხელში წარმოებს. სასულიერო პირი საერო განათლებას ხელმძღვანელობს, ეკლესიას სურს ცნობიერების წინამძღვრობა. თუ ასეთი მიდრეკილება სუფევს სკოლაში, ასევე არ არის ცხოვრებაში. აქ ყველაფერს საერო, სამოქალაქო დაწესებულება ხელმძღვანელობს. სკოლიდან გაიპყრო ადამიანი ცხოვრების მორგეში თავდაყირა ვარდება და უკანასკნელი სულის ამოტყუპად იძულებულია იტყუროს, ხელი და ფეხი ანძობოს, სიკაცობისათვის იბძობლოს. აქ იმარჯვებს ის, ვინც მოქალაქეობრივად აღზრდილია. და, აი, სასულიერო წოდება მოდის და ეუბნება: ამ მოქალაქეობრიობისათვის მე მოგამზადებო. ამით საიქიოსათვის მღალადებელი საქაობას ჩემობს. აი, მთელი უყურდართობის ღედა-ბოძი, აი, საიდან წარმოადგება ეს ვარემოება, რომ სკოლაში გაფრეებული ორი პრინციპი სასულიერო და სამოქალაქო — ერთმანეთს არ ეთანხმება და მით მთელი ეს სკოლა ცხოვრებას არ ეთანხმება. წინააღმდეგობა სკოლის პრინციპთა შორის, წინააღმდეგობა სკოლის და ცხოვრებას შორის.

მგერამ, მეორე მხრით, ამ კლერიკალურ სკოლაში შეგრიალდა სამოქალაქო მოთხოვნებზე, გამეფდა საერო საგნები და მით სწავლების შინაარსი რამდენიმეთ შეიცვალა, ის გამატერიალისტადა. ახლა საჭიროა შინაარსთან ერთათ ფორმის შეცვლა, ე. ი. სკოლის ხელმძღვანელობის გაქალაქება. და, აი, საითკენ მიისწაფვის მასწავლებლობა, აი რა ამოძრავებს მას, და ეს არა მარტო ვიეტრეტმეტრეში, არამედ მთელ გერმანიაში.

ამ ნაითათ, გერმანიის სკოლა, რამდენათ ის წარსულის მატარებელია, კლერიკალური პრინციპის წარმომადგენელია, იმდენათ კონსერვატორობა, იმდენათ ის ცხოვრების შემაჩერებელია, ზოლო რამდენათ ის აწმყო მატარებელია, მოქალაქეობრიობის წარმომადგენელია, იმდენათ ის პროგრესისტობას, იმდენათ ის ცხოვრების წინ გამაქანებელია. მგერამ გერმანიის სკოლას თან ახლავს ერთი რამ, რაც ამ ორივე მხარეზე მალა დგას, რაშიაც ეს ორი მოპირისპირე პრინციპი რიგდება (ნამდელიათ თუ არა, მოჩვენებით მაინც), რაშიაც არაერთიარ სახელმძღვანელო არა აქვს, რაც არაერთარ გაკვეთილ არ თხოულობს, არაერთარ სწავლებს საგანს არ შეადგენს, მიუხედავთ ამის ყველა სკოლაში მზესავით ბრწყინავს, ნაეტრყკლიეთ დაცემკომებს, ლამაზიეთ ანათებს, ყველა გაკვეთილიდან გამოკრთეს, ყველა საგნიდან გამოიღავს. რა არის ეს ერთი რამ? ეს არის მისი ერაიენული იდეალი, რაშილის სამსახურათ ის

\*) ის. აგალი\* № 52.

მოწოდებულია. სახალხო განათლების სახელმძღვანელო ღედა-აზრი მდგომარეობს ისაში, რომ ხალხში აღძრას და განამტკიცოს თავ-მოყვარეობა, თავმოყვარეობა არა როგორც ხალხის, კლასის ან წოდების, არამედ როგორც გერმანიის, გერმანიის შვილის, გერმანიელი ჩამომავლის, — ერთი სიტყვით თავ-მოყვარეობა ერთგულთი. საუკუნეთა განმავლობაში გერმანიის ნაციონალური პირადობა ინაერგებოდა საფრანგეთით. ეს იყო ევროპის მოწინავე ერთი და გერმანიელი დარწმუნებული იყვენ პირველობა ფრანგთა უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენ მათ რას ეტოლებითო. სანამ ხალხს, ერს თავის თავზე დაბალი შეხედულება აქვს, სანამ ის ფიქრობს უნდა უმნიშვნელო და ძაბუნ ვართ, მუდამ სხვას უნდა მივედვით და არა ჩვენ სხვა მოვედვდეს, სანამ მასში ნაციონალური ამპარტყენება მიჰქარაია, მანამ მას არავითარი დიდი საქმის, არავითარი შესანიშნავი რამის გაკეთება არ შეუძლია, მანამ ის დაბალი-ღობეა, რომელზედაც სხვები თავისუფლათ ვადაღ-ვადაღიან. მაშასადამე, ერის სასოწარკვეთილებიდან გათავისუფლება, მისი პირადობის ამაღლება, მისი ძალ-ღონის გამოწვევა და იქედის აღძერა, — აი მოღვაწეთა მიზანი და მოვალეობა. გერმანიის მოღვაწენი, განსაკუთრებით გერმანიის სახალხო სკოლა ამ საუკუნის მეორეოცდაათ წლებიდან იმ აზრს ნერგავს, რომ გერმანიელი ქვეყანაზე პირველი ხალხია. ყველგან პირველობა უნდა ეკუთვნოდეს, ყველგან თავისი კულტურა უნდა შეიტანოს და ქვეყანა გერმანიულათ განათლოს. ფრანგები პირ-იპით, ჩქარი, მოუახრებელი, არცე-დარევის და უწყს-რიგობის მოყვარე ხალხია. მას ყოველთვის გერმანიული ჯობსო. რასაკერვლია, ასე პირდაპირათ ნათქვამი ფურჩალ-ვახეთობაში თუ შევახედებთ, თორემ სკოლაში არასოდეს. ასე მორალურათ და ტრამბიით მოწაფეთ ევრავითარ შეხედულებას ევრ ჩაუნერგავთ. ეს აზრი უნდა გამოკრთოდეს სასწავლო საწებებიდან თავის თავით, ძალა-დაუტანებლათ, ისტორიის ვადაუმიხიზებლათ. ვადაშალეთ ამ 30 წლის წინეთ დაბეძლილი სახელმძღვანელონი და ყველგან ნახათ ერთ და იმავე მიღრკილებას, ერთ და იმავე ტოლოლეობას, სახელდობრ—ხალხში ერთგული მხნეობის და თავ-მოყვარეობის აღძრვას. ამით აიხსნება ის აუწერელი აღფრთოვანება, რომელიც ფრანგთან ომის დროს გერმანიაში დატრიალდა. ომის მოკვებას შემდეგ მგევე შეხედულება თან-და-თან განმტკიცდა და რამდენიმეთ რეალური საფუძველი მოიპოვა. როგვსაც გერმანიის სკოლის ათვლიერებთ განციფრებაში მოჰყავხართ იმ დაუსრულებელ კენხნა-ტრამბას, რომელიც აქ ტრიალებს. გერმანია პირველი სახელ-

მნიშოა, გერმანიელი პირველი ხალხი არიან მთელ ქვეყანაზე, — აი რა იდეით არის ვაქლენითი მთელი სწავლება, აი რის ვატარებას მეკადინებას მასწავლებელი. ის არ უშვებს არც ერთ შემთხვევას, რომ ბავშვებს თავიანთი ვეარტომობის სიდადე არ ავძნობიოს. ჩვენ ამას „ტრამბაზი“ ვუწოდებთ, მაგრამ ტრამბაზობაც არის და ტრამბაზობაც. როცა ვინმე დიდად დაეპეტყვის, თავის თავს ქება-ღიღებს ასხამს და უთავბოლოთ თავ-მამოწინაობს, — ასეთი პირი ჩვენში ზიზღს და უსიამოვნებას იწვევს. ჩვენ მას ვუწოდებთ ტრამბასს, ეგოისტს და ხშირათ თავ-ქარიან ან და შერყვეულს. მაგრამ როცა იგივე პირი თავ-მამოწინაობს არა როგორც ივანე ან პეტრე, არამედ როგორც წვეთი თავისი საზოგადოების, შეილი თავისი სამშობლოსი, წარმომადგენელი თავისი ერის, მაშინ ის ჩვენში ზიზღს კი არა, ქებას და პატივისცემას იწვევს. უთუთი ესეც ტრამბაზობაა, მაგრამ ტრამბაზობა ნაციონალური, საზოგადოებრივი და არა კერძო, ეგოისტური. აქ წინ დგება მხოლოთ „მე“, იქ კი „ჩემი“. აქ ჩანს მხოლოთ ივანე და პეტრე, იქ კი ვრი და სამშობლო, აქ პარპაშობს პირადი თავ-მოყვარეობა, იქ კი ერთგული, აქ ოღვიძებს პირადული ინტერესი, ადამიანის ქვენა გრძობობა, იქ კი საზოგადო ინტერესი, უმაღლესი და უწმინდესი გრძობობა; პირველ შემთხვევაში კაც შეიძლება კაცუნათ გახდეს, მეორე შემთხვევაში კი გვირათ, თავ-დადებულ საერო მოღვაწეთ. გერმანიის ახალთობა ასეთ ნაციონალურ ტრამბაზობაში იზრდება, ის ნელო-ნელო თავის ვეარტომობის უაღრესობაში რწმუნდება, თავის ერში ბუმბერაზულ მოძრაობას ხედავს, ერთი სიტყვით, მისი აზრით „გერმანია, გერმანია ყველაზე მაღლა, ყველაზე მაღლა მთელ ქვეყანაზე“ (საერო საგალობელი). შეიძლება, ეს უზრალო ოცენა იყოს, შეიძლება ასეთ შეხედულებას საკვირისი საფუძველი არ ჰქონდეს, შეიძლება ის მხოლოთ აღფრთოვანებულ ფანტაზიას ნაყოფა, ბრმა პატრიოტიზმის ნაწარმოებია, მაგრამ ამით ის თავის ძალას და მნიშვნელობას არ ჰკარავს. საქმე იმაში კი არ არის, ეს შეხედულება რამდენათ დასაბუთებულია, არამედ იმაში, რომ ასეთი შეხედულება არსებობს, არსებობს ხალხის გონებაში და მით ის თავის თავით ერთ ისტორიულ ფაქტურათ და ცხოვრების მოძრაობის ღერძათ ხდება. გერმანიის სახალხო მასწავლებელი ასეთ ღერძს აშხადებს. ეს არის მისი ერთგული ადვოლი, მისი სატრუვალო საგანი, მისი უმთავრესი ლტოლილება და შეურყვევლი მიმართულება. მხოლოთ ამ აზრით ვაგებულთ უნდა იქმანს ცნობილი თქმულება: საფრანგეთი გერმანიის სახალხო მასწავლებელმა დაამარცხო...

სახალხო-გარკთული.



### მამა დიომიდე ჩხაიძის პასუხათ \*



მ ჩემ პასუხს, მამა დიომიდე, შემდეგს თქვენ მიერ წამოერთმულ სტუტიებს დაუღებ სარჩულით: „დიდ მადლობას ვუხდით ამდღას, ვინც ჩემ ნაკულუმენებს მაჩვენებსო და სხვა.— ასე ამოვიკითხეთ თქვენი წერილის ბოლოში. თქვენ გაკვირვებით ბრძანებთ: საქმე ის არის, რომ შეიძლება კაცმა მართლა მომხდარი ფაქტი აიღოს და ეს გაახვილოს; მაგრამ მთელი ტყუილის შეთხზვა კოსაკდრისი არ არის—ო. ამებზე ა; რას მოვახსენებთ: შეიძლება კაცმა შედღომები ალააროს და ზოგიც გადაბოლოშე-გადაფუხროს, მაგრამ მთელი უტყუარი საბუთების უარ-ჰყოფა კი კოსაკდრისი არ არის... ხმას ღეთისას და ხმას ერისას რომ დიდი გველენა და მნიშვნელობა აქვს, ეს თქვენც იცით და, თუ შეიძლება, დეკობთ თქვენ მრევლს თქვენ კეთილ მოქმედებაზე!.. მაგრამ რას ვამბობ? ვინა შეუძლია ვისმთნ იმთბანს თქვენი წინაშე ხმის ამოღება? ყველაზე იცით, რომ თქვენი მამობრივი მრისხანებისა დიდი შიში და კრძალვა აქვთ სოფლელებს; (ე. ი. ზემო აკეთლებს), მეტადრე, მას აქეთ, როცა მრავალჯერ თვალები აცეცხბიეთ ამ საწყულეს.

თქვენ ბრძანებთ: „არ ყოფილა მავალითი და არც არავის შეუძლია ჩემი მოქმედებიდან მიჩვენოს, რომ ავთმყოფის საზიარებლო ოდენმე რამე გვეთხოვოს. ეს ჩვეულებათაც არ არის ჩვენშია“. ჩვენ მოვახსენებთ, რომ ამის მავალითი იყო, რასაც სხვები დაამტკიცებენ, თუა ვინ შეგაწუხებდათ, ჩვენ მი, რომ ამგარი ჩვეულება არ არის, გვეთანხმები მაგრამ, იმიტომაც არის, რომ ხალხი ვაოცებომა ამ ახალი ამბით. მაშ, რომ კელავაც საღმე გავგვეონა ასეთი ამბავი, ვინ რას ვაგებთვედა თქვენი? თასი რამე აქეთ საწყალ აკეთლებს თქვენს წინაშე ვასაუბდეთ, მაგრამ ზედვენი კ? ეს ვ-სი ბრალია, რომ როგორც ცხეარს მგლისა, ისე ეშინია ამ სოფელს თქვენი? „არ ყოფილა მავალითიო—ბრძანებთ თქვენე—რომ ყმაწილის დასამარბათ, არამც თუ ს, 7 მანეთო, არამედ 2 და მ მანეთი შემოვძლიოთ ჩემთიონა. ესეც მართალია, რომ შეძლებით ვერ შემოვად-

ლივთ, რადგან ის დაწუხებრებული იჯახი ვაჭირვებიდან სულს ძლივსა იბრუნებდა და თქვენ რალხს შემოვაძლევდა, რაც არა ებადარა, მაგრამ ამგვარ ეითარბებამი მყოფ ოჯახებს მაინც აწვალებდით და ზოგჯერ მკედარსაც დაუტოვებდით, რისთვისაც მოციქულებს ღალადენ, რომ მამობანდით ღედელა, და მკედარი დაევიმარხოვა“. არ ყოფილა მავალითი, რომ ოდენმე ჩვენთვის არამც თუ თორმეტი, არამედ ექვსი მანეთი მიეცეთ გადაცვალბულის დასამარბი, არამც თუ არ ყოფილა, არც აწი დასამარბდება ისე ჩვენი მიმართულებმა, რომ კომერციულ აზრს მიემართოთ ოდენმეა ბრძანებთ. ღმერთო, შენ გმადლობ! თურმე ყველაფერს გაიგონებს ეს ცოდვილი ყუბრი. არ ყოფილა ასეთი მავალითები?.. მაგრამ არა ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშუღებისო...

„რაც შეეება მალაზიასო — მოახსენებთ თქვენ — მართალია, ეს არსებობდა აქ, მაგრამ ჩვენ თითონ ვთაობდით, ჩვენ თითონ შევადგინეთ ამის არსებობაზე განჩინიო... თუ შეჩერდა ეს საქმე იმიტომ, რომ ამ მოუსავლობის წელს ელაცამ სიმინდი მოგებარაო“ და სხვ. არც ეს ვახლდათ ასე: თქვენსაქ მომბანებამდის კარვა ხნიდან არსებობდა ეს თქვენგან ტანჯული მალაზია, მაგრამ რაკი თქვენი მობრძანებით აკეთი ვაბანდინერით, მაშინვე უბრძანეთ სოფელს; ეს ფულები და სიმინდიც ეცლესისათვის მე გაღმომეციოთ; მაგრამ სოფელმა ამ წინადადებაზე რაკი უარის თქმა ვაბედა, თქვენ დამეუტკრეთ: „მე გჩვენებთ, თუ ეს ყველაფერი არ დაგაკარგინოთო და ან ვინ მოკლათ აქ ამის ნება, რომ ამ გვარ საქმეებს აწყობოთ და სხვ. ამას შემდეგ, მართლაც და თქვენი ბრძანებით „დშიშხათებულნი“ მიციენდენ საერთო სასიმინდეს და რაც შეტანილი სიმინდი ჰქონდათ, უკანვე წამოიღეთ; მერე წაიხედეთ ღანჩხუთში და ამავე მალაზიის მიხარებული 600 მანეთი ფული გამოაართვით ვაჭარს ყლისო გოგამებს და იგიც დაირიგებს.

„ენტავი ჩამ აიძულა ვილაც ჩამ იომაი, რომ ასეთი შეურაცყოფა მოეყენებია ჩემთვისო“. — ცოტა ხანს შემდეგ ამოიხენებებთ თქვენ; მაგრამ როგორც ჩანს, თქვენის აზრით, ვინც რომ სმართლებს ალიარებს და სიბრუნდეს გმობს, მას უსათუთო ჩამე ან უნდა აიძულებდეს და ან ანტირესებდეს. მე კი არც ერთის ზედ-ვაგულენას არ ევმორჩილები, თუმცა თქვენც იცით, თუ რამდენათ სახათუთო და საწანელოა სმართლის თქმა ჩვენში; იმ მხრით მე, რაკი ერთი თავზე ხელ-აღებული ვინმე ვარ, სრულიადაც არ ვუფრთხი არავითარ ტეკაქუთილს და იმიტომ ამ წერილის ბოლოში ჩემი სახელი და გვართ მოგ-

\*) რადგანაც ამ პასუხის სავანი ერთი მხრით სავმარსთი გამოირგვა და მეორე მხრით პ. ანსერს ორმოცამის ნითქამის დასამტკიცებლათ ჩვენ რამდენიმე წრამლობათი საყოთი მივიღეთ სსსკ პარზადას, ამიტომამას შემდეგ ვაშ. „გველში“ ამის შესახებ ეთაველ გვარ გამათს ესმობთ.

რედაქ.

საღმებთ. ნუ გვანობა, რომ მე შემწინებუდეს, ან თქვენი და ან სხვა-სა ვისმესი. არა, მუდმივი ჩვეულება ჩემი: თუ რამ დამიხსრეტია, სულ სხვა და სხვა დსედედონიემბი მომიწრია, არა იმატომ, რომ მშინებოდეს, არამედ არა მქონდა სურვილი სახელის გამოჩენისა, შეიძლება თქვენ ხასათს მიზარებთ მეც, როცა მეუბნებით: „შესაძლებელია ისიც, რომ იობის პირით სულ სხვა ლაპარაკობდეს“.. თქვენი კი რა მოგახსენიოთ და ჩემი პირი მე თითონ ძირითს მყოფნის სალაპარაკოთ, იგარა სხვას ჩემ პირთან რა ხელი აქვს?!. „რობაი მეთაღუყურება სხვებზე უნდა დავწერა და არა ჩემზეო“. ეს კარგი ახალი ამბავია: მხოლოთ სხვებზე..

რაც შეეხება თქვენი „საკუთარი შრომით და ხარჯით სკოლის დაჩრბებას და უსასყიდლოთ ყმაწვილებს სწავლებას“, ესეც ახალი ამბავია, მაგრამ სიმართლესთან ქვედა როგორც ამერისა. ამ სკოლის მოსაწყობათ რამდენიმე ოფელს მაღაზი ს ფული, შემოთ დასახლებული, ქონდათ ვადადებული და რამდენიმე შეძლებული პირებიც დაეშარენ, რის მეოხებით აავს სახლი და თქვენ დაიწყეთ ყმაწვილების სწავლება. წლევანდლამდე თითო ყმაწვილს წლინით ორ მანეთ ნახევარს ახდევინებდით და წელს კი მათ ვადადეთ ეს ვადასახალი, მაგრამ სწავლაც არის და სწავლაც: კი საქმე იქნება თუ კვირაში სამჯერ გამოურბინეთ საწყალ ყმაწვილებს.. „მაგრამ კმარა, რომ თავის ქებათ არ ჩამომართვანო და სხვა. დასასრულ თქვენი წერილისა (იხ. „კალი“ № 48) ბრძანებთ თქვენ. გვიანამდე ვერ მივხვდით, თორემ ნამდვილი კი თავის ქება იყო და იგიც, როგორ არ იტყვიეთ?! - საუტხოვო!.. ახლა მშვიდობით და თუ რამეთ გამოიყენებთ ჩემ ვინაობას ამიერიდან უწყოდელი: ახსენ ომბოცამე (იგივე იობაი შეთაღუყურე).

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის

# განცხადება

ბჭინისის ძალაშის მაგამოლა აცხადებს საყოველთაოთ, რომ 1897 წ. უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს სმოსების აწესგანება. ქალაქის გამგეობა უნდა შეუდგეს ამომრჩეველთა სიების შედგენას და რადგან ბერის სახლის პატრონს, რომელთაც სახლი შეძინეს 1892 - 1896 წლებს განმეოლობაში, ჯერ იგი თავის სახელზე არ ჩაუწერინებიათ, ამიტომ გამგეობა თხოვს ამ სახლის პატრონებს წამოადაგინონ თავიანთი მოქოზანი, რათა უფლებას მიიღონ მომავალ აწესგანებაში.

დაქაწვილილ ნახატებიანი ქურნალი

# „ჭეჭილი“

წალიწალი მარკა

გამოვა 1897 წელს თვეში ერთხელ იმევე პრაგრაშით, როგორათაც აქამდის.

ქურნალიში მონაწილეობის მიღება ალგეითქვეს ყველა ჩვენში საუყეთესო მწერლებმა.

ქურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე ვაგზანით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ. ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.


ხელისმოწერა მიიღება:

- 1) თბილისში — წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თეთ „ჯეჯილი“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамашева, возле кадетского корпуса).
  - 2) შუთისში — მ. ბეჭანიშვილთან, და თ. მთავარიშვილთან.
  - 3) შორში — ა. ჯ. კალანდუქიანთან.
  - 4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
  - 5) თელავში — მ. სისკარაშვილის აფთაქში.
  - 6) სანჯარაში — შარაშან ჩხეიძესთან.
  - 7) ღლისამებტოკოლში: ა. მიკაპერიძესთან.
  - 8) თიონეთში — ივ. ჩიბალიშვილთან.
  - 9) შიშინლაში — არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
  - 10) მიხაილკოში — ი. ფანცულაიასთან.
- ფოსტის აღტრის: *Во Тифлисе, во редакцию грузинскаго общаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლის

# ექიმი გ. ი. ბაღრიძე

მიიღებს ავთმყოფებს შუადღის 12 საათიდან 3 სათამდე. კიბოების ქუჩა სიმონოვის შესახვევში სახლი არაქელოვას.



წარსული ექსი წლის „ჭეჭილი“ (36 წიგნი) დათმობა სახალხო და სკოლის ბიბლიოთეკებს 8 მან. (1890, 91 და 92 წწ. „ჯეჯილი“ უკვე მოწონებული და ნება დართულია კავკასიის ქოლქის საზოგადოებო რჩევისაგან სკოლის ბიბლიოთეკებისათვის).